ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

5 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 231 (10 400) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაც ადრე ვერ შეძლეს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა

### ნაკრებ გუნდებს დაშლა აღარ ემუქრება

„ლელოს" მკითხველებს, რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას ალბათ ახსოვთ ღია წერილი რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელებისადმი, რომელიც ჩვენი გაზეთის 7 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა, წერილს ხელს აწერდნენ სპორტის სათამაშო სახეობებში საბჭოთა კავშირის უმაღლესი და პირველ ლიგებში საქართველოდან მოასპარეზე 14 პროფკავშირული გუნდის მწვრთნელები და სპორტსმენები (სულ 280 კაცი) მასში ლაპარაკი იყო გუნდებში შექმნილ კატასტროფულ ფინანსურ მდგომარეობაზე, სპორტსმენთა სოციალურ დაუცველობაზე, საერთოდ, სპორტის სათამაშო სახეობების გუნდების ყოფნა-არყოფნაზე, რომელთაგან დიდი უმრავლესობა (14-დან 10) ფაქტიურად საქართველოს ეროვნულ ნაკრებს წარმოადგენს.

მაშინ, სამწუხაროდ, თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

და აი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალმა ხელმძღვანელობამ, პირადად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **თენგიზ სიგუამ**, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ბატონმა **გურამ აბსანძემ** გულთან ახლოს მიიტანეს სპორტსმენთა თხოვნა და, ქართული სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე, სპორტის სათამაშო სახეობების პროფესიულ გუნდებს აღმოუჩინეს საჭირო ფინანსური დახმარება.

საქართველოს ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო, სპორტის სათამაშო სახეობების პროფესიული გუნდების მწვრთნელები და სპორტსმენები მადლობას უხდიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დახმარებისა და თანადგომისთვის.

## დღეს 15 საათზე...

**დღეს**, 5 დეკემბერს მოწვეულია მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა. სხდომა ჩატარდება „ლელოს" რედაქციაში, 15 საათზე.

**ასოციაციის პრეზიდიუმი.**

## ვარჯიში... ხმელეთზე, შეჯიბრება—წყალში

**ქართველმა** მოსწავლე წყალბურთელებმა ბოლო წლებში არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო იყო წლევანდელ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ამ წარმატებაში ლომის წილი უდევს სამეცნიერო საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის წყალბურთის სპეციალიზებულ რესპუბლიკურ სპორტსკოლას (დირექტორი მერაბ ქართველიშვილი). სწორედ ამ სკოლაში აღიზარდა საქართველოს ნაკრების წევრთა უმრავლესობა.

ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო ჩვენს წყალბურთელებთან შეხვედრები საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება. ძლიერ მეტოქესთან ჭიდილი ხომ ოსტატობის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორია. ამიტომაც იყო, რომ რუსთავში გამართულ როსტომ ჩაჩავას სახელობის ტურნირზე მოსკოვისა და ყაზახეთის ძლიერი გუნდებიც ჩამოვიდნენ. პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ: მოსკოვის, ბელორუსიის, რუსთავის ნაკრებები და „მართვე-I", ხოლო მეორეში — ყაზახეთის, საქართველოს, სომხეთის ნაკრებები და „მართვე-II".

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ნაკრები დაკომპლექტებული იყო რესპუბლიკის სხვადასხვა გუნდების ორ-ორი მოთამაშით.

„მართვე-I"-მა სამივე მეტოქე დაამარცხა, მათ შორის მთავარიც — მოსკოვის ნაკრები — 13:6. ასევე დაუმარცხებლად განვლეს შეჯიბრება ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრებებმა — მათ ერთმანეთთან შეხვედრა ფრედ (8:8) დაამთავრეს.

საბოლოოდ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „მართვე-I" და მოსკოვის გუნდები. პირველ ორ პერიოდში თბილისელი მოსწავლეები დაწინაურდნენ (6:4), მესამეში — მწვრთნელმა დავით ჩერქეზიშვილმა სათადარიგო შემადგენლობას დაუთმო ასპარეზი. ეს ცვლილება იძულებითი იყო. საქმე ისაა, რომ თბილისელი სპორტსმენები ტურნირის დაწყებამდე, მთელი სამი კვირა, „ხმელეთზე ვარჯიშობდნენ", რადგან აუზში თბილი წყალი არ ჰქონდათ. ამან კი, ცხადია, მათ სპორტულ ფორმაზე უარყოფითად იმოქმედა — გამძლეობამ უმტყუნათ. როგორც მოსალოდნელი იყო, „სათადარიგოებმა" მეტოქეებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ორი ბურთით მოსკოველები დაწინაურდნენ. მეოთხე პერიოდში სარბიელზე დაბრუნებულ „მართვეს" ძირითად მოთამაშეებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ თამაშის ბედი თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინათ. საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს — 12:11 და როსტომ ჩაჩავას სახელობის პირველი ტურნირის ლაურეატები გახდნენ.

ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი დაიმსახურა ოთარ დადიანმა. ბომბარდირისა — ენრიკო ბათაშვილმა (ორივე — „მართვე-I").

გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ნუგზარ კაჭარავა, ირაკლი შარაშენიძე, დიმიტრი გუბელაძე, ენრიკო ბათაშვილი, გიორგი მონესაშვილი, დავით ჭიჭინაძე, ბაკურ ბენია (კაპიტანი), კახა დარსაველიძე, ომარ მიქაბერიძე, ვადიმ ივანოვი, ოთარ დადიანი, ლევან აბაშიძე, მელორ კალატოზიშვილი, პავლე ორჯონიკიძე.



**სურათზე:** „მართვე-I".

**ჯემალ კახიძის ტექსტი და ფოტო.**



## ცქრიალად ქცეული ოცნების დასასრული...

**გერმანიის** ქალაქ შტუტგარტის ბატუტზე მხტომელთა საერთაშორისო ტურნირზე რუსუდან ხოფერიას გამარჯვება, თვად ჩემპიონისაგან შევიტყვე. ერთი შეხედვით, არაფერი იყო მოულოდნელი — მსოფლიო ჩემპიონს, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის მორიგი წარმატება ვის უნდა გაჰკვირვებოდა; მაგრამ საქმე ისაა, რომ შტუტგარტში და, საერთოდ, არც ერთ შეჯიბრებაში, რუსუდანი აღარ აპირებდა გამოსვლას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მრავალი ქართველი სპორტსმენის მსგავსად, მასაც აუვსო მოთმინების ფიალა საკავშირო ნაკრების მწვრთნელების, ბატუტზე ხტომის საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელთა, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლო და არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ მის მიმართ, რაც თითქმის ყოველთვის თან სდევდა მის ბრწყინვალე სპორტულ კარიერას. მაგრამ, რუსუდანი მაინც „აღმოჩნდა" შტუტგარტში...

**● რუსუდან, ამ ერთი თვის წინ განაცხადე, რომ აღარ აპირებდი ვარჯიშის გაგრძელებას, თავსანებებდი სპორტს. მართალია, ეს საბოლოოდ არ გქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ თქვი, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ფეხს არ დავაკარებ ბატუტზეო...**

— შესაძლოა ურყევად არა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ წერტილი დასმოდა ჩემს სპორტულ კარიერას. ამავდროულად, არც იმას გამოვრიცხავდი, რომ შესაძლოა ორიოდ ტურნირში გამოვსულიყავი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ მათგანში მონაწილეობა, გარდა წმინდა სპორტული მიზნისა — გამარჯვებისა, სხვა მიზეზებსაც დაუკავშირდებოდა. შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა დამირეკა და მთხოვა მასთან მივსულიყავი. მართლაც, გამოვცხადდი „მართვეს" დარბაზში, ზაურ მასწავლებლმა იცოდა, რომ დიდი ხნის უვარჯიშებელი ვიყავი და თავს ვანებებდი სპორტს, მაინც მითხრა, შენი შტუტგარტში წამოსვლა თუნდაც იმიტომ ღირს, დაამტკიცო, რომ უკრაინელ ელნა კოლომეეცზე ძლიერი ხარო. დიახ, კოლომეეცი არაერთხელ გამოუყენებიათ ჩემ წინააღმდეგ საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებს, მისით არაერთხელ გადამიღობეს საერთაშორისო შეჯიბრებებისკენ მიმავალი გზა. მეც დავეთანხმდი ზაურ სულაშვილს, მით უმეტეს, ჩვენი აზრები გარკვეულად დაემთხვა ერთმანეთს. შტუტგარტში გავიმარჯვე, მიუხედავად იმისა, რომ, თითქმის მთელი თვე არ ვვარჯიშობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ კოლომეეცს არ უასპარეზია, თუმცა, გუნდში იყო.



**● იქნებ ამის შემდეგ გადაიფიქრე ძველი გადაწყვეტილება. იქნებ დარჩე სპორტში, რათა კვლავ არაერთხელ დაამტკიცო სიძლიერე.**

— ბატუტი, რომელიც ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო, დასანახავად შემჯავრდა, დარბაზისკენ გახედვაც არ მინდა. ეს ჩემთვის ტრაგედიაა. ადრე ვფიქრობდი — სპორტიდან რომ წავალ, მწვრთნელობას დავიწყებ, რაც მიუღწეველი დამრჩა, ჩემი მოსწავლეები მიაღწევენ ჩემივე შემწეობით-მეთქი, ამიტომაც ჩავაბარე ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიურ ფაკულ-

იხ. გვ. 2 გვ

### მატიანე



**ისინი** მუდამ ხელდამშვენებული ბრუნდებოდნენ უცხოეთიდან სამშობლოში. 50-იანი წლების სახელოვან მოჭიდავეებს ბევრი აქვთ მოსაგონარი და გასახსენებელი. აი, თუნდაც 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაუვიწყარი ბატალიები, ტურნირისა, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანაში ჩატარდა. ეს შეჯიბრება იმითაც იყო საგულისხმო, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები მთლიანად ქართველი ფალავნებით დაკომპლექტებული აღმოჩნდა (გამონაკლისი გახლდათ ქვემძიმე წონა, რომელშიც მწვრთნელებმა ესტრელი ავგუსტ ენგლასი გამოიყვანეს?). [illegible]

ფოტო, რომელსაც აქვე გთავაზობთ, მოგვიანებითაა გადაღებული, მაშინ, როცა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი თავკაცი ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის მრავალგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დავით ციმაკურიძე გახლდათ (მარჯვნივ, განაპირა).

ისევ უცხოეთიდან დაბრუნებული ფალავნები და გულთბილი შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

სპორტის ისტორიას გამორჩეული ადამიანები ქმნიან. თავისუფალ ჭიდაობაში იმხანად მათზე უფრო გამორჩეული ფალავნები არც იყვნენ, [illegible] ონებაა. მარცხნიდან — გიორგი სხირტლაძე (1959 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ორი ოლიმპიადის პრიზიორი, ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი), მირიან ცალქალამანიძე (XVI ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი), ვახტანგ ბალავაძე (მსოფლიოს ორგზის და ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი), ვლადიმერ არსენიანი (მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ქვეყნის ორგზის ჩემპიონი) და საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი დავით ციმაკურიძე, მოჭიდავე რომლის, სახელი ჭიდაობის ისტორიაში უკვე ლეგენდად იყო ქცეული.

### გაზეთის დაბეჭდვის წინ

#### მატჩი მსოფლიო პირველობაზე

#### კასპაროვი დაწინაურდა

მეტოქეთა მეთექვსმეტე შეხვედრა ჭეშმარიტად მარათონული გამოდგა. გუშინ ეს პარტია 102-ე სვლაზე დასრულდა — გამარჯვება გარი კასპაროვმა.

ანგარიში უახლდა 8,5:7,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

მეჩვიდმეტე პარტია, რომელშიც თეთრებით კარპოვი ითამაშებს, დღეს უნდა გაიმართოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მას შემდეგ, რაც „ლელოში“ გამოქვეყნდა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების, სრულიად საქართველოს ასოციაციის მიმართვა რესპუბლიკის რეგიონების, ქალაქებისა და რაიონებისადმი, 15 დეკემბრამდე ადგილებზე ასოციაციის პირველადი რგოლის — გამაჯანსაღებელი კლუბების შექმნის თაობაზე, რედაქციაში მოდის დეპეშები, წერილები, გვირეკავენ ტელეფონით და გვთხოვენ, გავუწიოთ კონსულტაცია თუ რაა გასათვალისწინებელი კლუბის წესდებაში, როგორი უნდა იყოს გამგეობის შემადგენლობა, რა აუცილებელი დოკუმენტაცია უნდა შედგეს და ა. შ.**

**ვაკმაყოფილებთ რა ამ თხოვნას, ვაქვეყნებთ კლუბის სანიმუშო წესდების პროექტს. ცხადია, წესდებაში შეიძლება ცვლილებების შეტანა და გაღრმავება ადგილობრივი პირობების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შეგახსენებთ, რომ ასოციაცია ერთობლივად შექმნეს ფიზიკური კულტურისა და მედიცინის მუშაკებმა. ადგილებზე გამაჯანსაღებელი კლუბებიც მათი ერთობლივი ძალისხმევით უნდა დაფუძნდეს.**

# მოსახლეობის გამაჯანსაღებელი კლუბის წესდება

**პროექტი**

### I საერთო დებულება

1. მოსახლეობის გამაჯანსაღებელი კლუბი (ქვემოთ ყველგან შემოკლებით მოიხსენიება, როგორც „კლუბი“) არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და აერთიანებს ამ საქმით დაინტერესებულ ცალკეულ პიროვნებებს, შრომით და სასწავლო კოლექტივებს.

კლუბი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. კლუბი იქმნება თვით მოსახლეობის ინიციატივით და არის დამოუკიდებელი, როგორც ასოციაციის პირველადი რგოლი.

### II ამოცანა და ფუნქცია

1. კლუბის მიზანია მოსახლეობის ასაკისა და სქესობრივი თავისებურების გათვალისწინებით მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისათვის პირობების შექმნა და ამ მუშაობის გაძღოლა. ამისათვის კლუბი გამოიყენებს ყველა ჰუმანურ ფორმას, რაც არ შელახავს პიროვნების ღირსებას და უფლებას. ყველა ფორმა და საშუალება დაინერგება პრაქტიკაში მხოლოდ კლუბის გამგეობის გადაწყვეტილების შემდეგ. ყველა გადაწყვეტილებას იღებს მედიცინის მუშაკების კონსულტაციით და მათთან ერთად ხელმძღვანელობს მოსახლეობის გაჯანსაღებას. კლუბი დებს ხელშეკრულებას, ეწევა ორმხრივ გაროვებას, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ მდებარე ორგანიზაციებთან, თუკი მათთან ურთიერთობა მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელია. მიზნობრივად ქმნის ცალკეულ სამსახურებს, მათ შორის კლუბისათვის გამოყოფილ ფართობს გარეთ მაპროფილებელ წვრილ საწარმოს, კოოპერატივს, იძენს სპორტულ ინვენტარს, სხვა ქონებას და აქირავებს მას.

კლუბი ქმნის დამხმარე მეურნეობას მასში მოსახლეობის ჩაბმით, ატარებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ და ფიზკულტურულ, აგრეთვე, კულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს, საჩვენებელ გამოსვლებს, მართავს სპორტულ საღამოებს, შეხვედრებს გამოჩენილ სპორტსმენებთან.

### III წევრები, უფლებები და მოვალეობები:

1. კლუბის წევრი შეიძლება იყოს, როგორც პიროვნება, ისე კოლექტივი. დასაშვებია თანამშრომლობა ხელშეკრულებით.

2. კოლექტიური წევრები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას წესდების პირობების გათვალისწინებით.

3. წევრად მიღება ხდება განცხადების საფუძველზე, გარიცხვა გამგეობის წევრთა ორი მესამედის მხარდაჭერით.

4. წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან წესდება, გადაიხადონ საწევრო, უფლება აქვთ ატარონ კლუბის ემბლემა. საწევროს მოცულობა, აგრეთვე მომსახურების ღირებულება დადგინდება გამგეობის გადაწყვეტილებით.

### IV სტრუქტურა, ხელმძღვანელი ორგანო

1. კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კლუბის წევრთა კონფერენცია, რომელიც ტარდება 3 წელიწადში ერთხელ. კონფერენცია ირჩევს გამგეობას 7 წევრის შემადგენლობით, მათგან კლუბის კატითაურს (თავმჯდომარეს) და კატითაურის მოადგილეს. მუშაობის სტრუქტურას, რეგლამენტს, საშტატო განრიგს და თითოეული მუშაკის ფუნქციას განსაზღვრავს გამგეობა.

### V სახსრები და ფონდები

1. კლუბის ფულადი სახსრები იქმნება:

— საწევრო შესატანებიდან

— ჯგუფებში მეცადინეობის შემოსავლიდან (აბონემენტები).

— სპორტული ინვენტარის გაქირავებიდან

— სპორტული ბაზების არენდიდან

— სახლმმართველობების 3-პროცენტიანი ანარიცხებიდან.

— რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კოოპერატივების 1 პროცენტის ანარიცხიდან

— დამხმარე მეურნეობიდან და მცირე წარმოებიდან

— საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან

— კლუბთან არსებული კოოპერატივიდან

— კლუბის ქონების საბრუნავიდან

— კომერციული საქმიანობიდან

— სპონსორებიდან

— კლუბის საქმიანობა და შემოსავლები დაბეგვრას არ ექვემდებარება

— ფონდები იქმნება როგორც მანეთებში, ისე ვალუტის სახით.

### VI სამართლებრივი მხარე

1. კლუბი არის იურიდიული პირი, გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, აქვს ბეჭედი დასახელებით და შტამპი, აგრეთვე ემბლემა, საკუთარი ქონება, სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი, ფულადი სახსრები. აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში.

2. კლუბი თავის მიზნებიდან გამომომდინარე, ეწევა გარიგებებს, დებს ხელშეკრულებებს, გამოდის მოსარჩლისა და მოპასუხის როლში.

3. კლუბისათვის გამოყოფილი ფართობის გარეთ შეიძლება შეიქმნას დამხმარე მეურნეობა, მცირე წარმოება, მიზნობრივი კოოპერატივი.

4. კლუბი იჯარით იღებს უმოსახლო შენობებს და სპორტულ ბაზებს. ამავე დროს იჯარით გასცემს თავის სპორტულ ბაზებს, ატარებს ფასიან სპორტულ-კულტურულ სანახაობრივ ღონისძიებებს, სპორტულ საღამოებს, შეხვედრებს. როგორც გამაჯანსაღებელი ჯგუფები, ისე კლუბი თავის ღონისძიებებზე იწვევს თანამსაქმეებს. კლუბი [illegible] აგრეთვე სპორტულ და გამ[illegible]ასალებელ თემატიკაზე გამოფენებს.

კლუბი მონაწილეობს საცხოვრებელი ბინების საექსპლუატაციოდ გადაცემის მიღებაში და მოითხოვს სანიტარული სპორტული ნორმების დაცვას არსებული წესის შესაბამისად.

### VII კლუბის ლიკვიდაცია

1. კლუბის ლიკვიდაცია მოხდება თუ ამას მოითხოვს კონფერენცია დამსწრეთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით.

2. ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

## ასოციაციის პრეზიდიუმის კონსულტაცია

**ახლა პასუხს გავცემთ რამდენიმე კონკრეტულ შეკითხვას:**

● **ვინ უნდა მოიწვიონ დამფუძნებელ კრებაზე?**

დამფუძნებელ კრებაზე იწვევენ ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, დამფუძნებლებს (ფიზკულტურისა და სპორტის, მედიცინის, განათლების, კულტურისა და სხვა ორგანიზაციებიდან).

● **ვინ ხელმძღვანელობს კრების მომზადება-ჩატარებას?**

— ფიზკულტურისა და მედიცინის მუშაკებისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი.

● **როგორი უნდა იყოს დღის წესრიგი?**

— დღის წესრიგში შედის ორი საკითხი: 1. გამაჯანსაღებელი კლუბის წესდების განხილვა; 2. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.

● **ვინ შედიან გამგეობაში?**

— გამგეობაში შედიან ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლები (მედიცინის 2 მუშაკი აუცილებლად). გამგეობაში აირჩევენ — 7-9 წევრს. სარევიზიო კომისიაში სამ დელეგატს. სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი არ უნდა შედიოდეს გამგეობაში.

● **როგორ ხდება კლუბის რეგისტრაცია?**

— დამფუძნებელ კრებაზე დგება ოქმი. ოქმში მითითებული უნდა იყოს დამსწრეთა რაოდენობა, დღის წესრიგი, მსჯელობა წესდების ირგვლივ, გამომსვლელთა გვარები, მიღებული დადგენილება. ოქმში აღინიშნება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა გვარები. ირჩევენ კლუბის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს. კრების ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი. ამის შემდეგ ოქმის ამონაწერი და წესდება წარედგინება ადგილობრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოს. ამ საბუთებს თან უნდა დაერთოს კლუბის კატითაურის (თავმჯდომარის) განცხადება აღმასკომის სახელზე კლუბის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

დოკუმენტაციის ერთი ასლი და თხოვნა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე იგზავნება მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციაში მისი პრეზიდიუმის დროებით მისამართზე: თბილისი, 380096, კოსტავას, 14, „ლელოს“ რედაქცია.

# ცქივილად ქცეული ოცნების დასასრული...

(დასასრული)

ტეტზე. ახლა არც მომავალ სამწვრთნელო კარიერაზე ფიქრი მახარებს, ალბათ, სამომავლოდ გადაწყვეტილებასაც შევიცვლი.

საკავშირო ნაკრების მწვრთნელების, ამავე მასშტაბის შეჯიბრებების მსაჯთა „დამსახურებაა“ ყოველივე. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ სხვადასხვა ტურნირებზე მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი ქულების ჯამით იმავე კოლომეეცს მთელი 48 ქულით ვუსწრებდი, მე 56 ქულა მქონდა, მას 8, მაგრამ ესენის მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც ის გამოიყვანეს ინდივიდუალურ ხტომებში. სიმართლე თუ გნებავთ, ბატუტზე ხტომის ზოგიერთმა ქართველმა მესვეურმაც არაერთხელ გამამწარა. მათაც შეგნებულად თუ თავისდაუნებურად ხშირად მოსკოველი კოლეგების ჩანაფიქრი განუხორციელებიათ.

● **და მაინც, თუ არის რაიმე შანსი, გული მოიბრუნო სპორტისაკენ?**

— არა მგონია, თუმცა ვგრძნობ, ძალზე ბევრი რამ ჩემზე არ არის დამოკიდებული. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, ეროვნული მოძრაობის ბრწყინვალე გამარჯვებამ, შესაძლოა ახალი პრობლემები, ახალი მოთხოვნები წარმოშვას თითოეული ქართველის წინაშე ნებისმიერ სფეროში. მეც, როგორც რიგითი მოქალაქე ჩვენი სამშობლოსი, გვერდს ვერ ავუვლი ახალ ცხოვრებას და რასაც შევძლებ, იმას მივცემ მას, რა თქმა უნდა, უკუგების მოთხოვნის გარეშე. მოკლედ, საკავშირო ნაკრებში აღარ გამოვალ, ეს ნაღდია, საქართველოს გუნდს კი, თუ დავჭირდი, ქვლავ ვემსახურები — როგორც სპორტსმენი და როგორც მწვრთნელი.

● **რუსუდან, ალბათ ყველა მოაზროვნე ქართველი დარწმუნდა, რომ დამოუკიდებლობა ერთადერთი გზაა ჩვენს ქვეყანაში არსებულ ფასეულობათა შესანარჩუნებლად, მათი ღირებულების კიდევ უფრო გასაზრდელად. გამონაკლისი, არც სპორტია, ალბათ, არც ბატუტზე ხტომა...**

— გეთანხმებით, და დავძენ, რომ ამაზე არაერთხელ მიფიქრია. საკავშირო გუნდში ასპარეზობა არაფერს მატებს ჩვენს ბატუტისტებს, თუ არ ავნებს მათ შესაძლებლობებსა და ათასგვარი წინაღობის დაძლევის შემდეგ მოპოვებულ გამარჯვებებს. მერწმუნეთ, ქართველი ბატუტისტები არათუ ჩამოუვარდებიან ინგლისელ, გერმანელ, უკრაინელ, დანიელ, ფრანგ ან რუს ბატუტისტებს, მათზე ძლიერებიც არიან. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ცხოვრების არც ერთ სფეროში დღემდე არ გვქონია საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. პერსპექტივა კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დამოუკიდებლობაზე მოფიქრალი კაცისათვის. მოკლედ, ორივე ხელით მხარს ვუჭერ ბატუტზე ხტომის დამოუკიდებელ ფედერაციას, ბატუტისტთა დამოუკიდებელ ქართულ გუნდს, საერთაშორისო სარბიელზე მათი დამოუკიდებლად გასვლის გზის ძიებას!

● **საქართველოს წლის საუკეთესო ათ სპორტსმენში თუ მოხვედრილხარ?**

— 1986 წელს ვერ მოვხვდი, XIII ადგილზე გავედი, 1987 წელს XII ვიყავი, მომდევნო წელს უკვე ერთი საფეხური დამაკლდა საუკეთესო ათეულში შესასვლელად. აი, შარშან კი მეათე ვიყავი. ეს თანმიმდევრობა თუ ლოგიკურია, წელს მეცხრე უნდა ვიყო. ეს ხუმრობით და, საქართველოს საუკეთესო ცხრა სპორტსმენთან ერთად ჩემი მოხსენიება, უდიდესი აღიარებაა პირადი მცირედი წვლილისა ქართულ სპორტში.

წელს კი რუსუდან ხოფერიას მართლა არ მოსცარვია ხელი საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე — კოსმონავტ გ. დობროვოლსკის სახელობის საკავშირო თასის გათამაშებაში ოქროს (ინდივიდუალურ ხტომებში) და ვერცხლის მედლები დაიმსახურა, იმავე შეჯიბრებაში ინდივიდუალურ პროგრამაში პირველ ადგილზე გავიდა. საკავშირო ჩემპიონატში ორივე პროგრამაში „ვერცხლი“ მოიპოვა, მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიგო სინქრონულ ხტომებში, დაბოლოს, შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირის უმაღლესი ხარისხის მედალსაც „გაუსინჯა გემო“. აქვე გადაეცა ერთი ოქროს მედალი გუნდური ჩემპიონობისთვის.

**მინაწერი:** წერილი მზად იყო, როცა რედაქციაში მოვიდა ბათუმელი სპორტის მოყვარულის დიმიტრი ჰუმბურიძის ბარათი. პატივცემული დიმიტრი, როგორც, ალბათ, სპორტის არაერთი ქართველი გულშემატკივარი, გულგრილი არ დარჩენილა რუსუდან ხოფერიას ბედით და მათი სახელით კიდევ ერთხელ შესთხოვა ჩემპიონს: „ძვირფასო რუსუდან, ძალიან გთხოვ, ნუ გადადგამ ამ ნაბიჯს, ნუ მიატოვებ სარბიელს, ნუ შეუშინდები დაბრკოლებებს და შეინარჩუნე სულის სიმტკიცე და შეუდრეკელობა, თორემ ქართული სპორტი დაკარგავს ისეთ მოკაშკაშე ვარსკვლავს, როგორიც შენ ხარ. გთხოვ, ნუ წამოეგები იმპერიული სპორტის მესვეურების პროვოკაციულ ანკესს, რათა გაიძულონ, მიატოვო სპორტი, ხოლო ბურთი და მოედანიც თავიანთ რჩეულებს დარჩეთ...“

მართლაც, რუსუდან, ქართული გენის, ქართული ნიჭის სრულფასოვნად, სრულყოფილად გამოვლინება ხომ გულში ლახვრის ჩაცემის ტოლფასია მავანთათვის. მოდი, ნუ დაუკარგავ შენს თანამემამულეთ — შენს გულშემატკივართ „შურისძიების“ ამ შანსს, მოდი, მართლაც ნუ წამოეგები პროვოკაციაზე!

**ლევან ჯავახიშვილი**

# საქმიანი ხელშეკრულება

**ნორჩი** სპორტსმენების ოსტატობის ამაღლება წარმოუდგენელია მათი სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის, ტურნირებში რეგულარული მონაწილეობის, თანატოლებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარების გარეშე.

გაითვალისწინეს რა ყველაფერი ეს, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ზაურ გვაჯავამ და საკავშირო საპროექტო-სამშენებლო გაერთიანება „ტრანსიუჯსტროის“ წარმომადგენელმა მოსკოვის ოლქის ქალაქ ოდინცოვოში ემელიან კრიუჩკოვმა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, სოხუმისა და ოდინცოვოს ჩოგბურთელთა ურთიერთობის თაობაზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ოდინცოვოს სპორტული ორგანიზაციების მიერ სოხუმელი ჩოგბურთელების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფას, ორმხრივი ვარჯიშების გამართვას და ტურნირებს.

გაისად, იანვარში, ოდინცოვოში გაიმართება საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში 1979-1982 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, ხოლო მარტის ბოლოს მსგავსი ბავშვთა ტურნირი ჩატარდება სოხუმში.

**თენგიზ პაპკორია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

**სოხუმი.**

# როგორც იქნა...

**გორის** ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტსკოლის აღსაზრდელთა ცოდვით იწვოდა ყველა, ვისაც კი მათ გაჭირვებას გაიგებდა. რა აღმზრდელობასა და სრულყოფილ წვრთნაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა სკოლა წლების მანძილზე 8-12 კვადრატულ მეტრ ოთახში იყო შეყუჟული, სადაც რინგიც კი არ ჰქონდათ, მოკრივეებს მქლავი რომ გაეშალათ. მიუხედავად ასეთი სივიწროვისა, ენთუზიასტი მწვრთნელების, პირველ ყოვლისა, გიორგი კარელიძისა და ავთანდილ შოშიაშვილის მცდელობით სკოლამ აღზარდა ჭაბუკთა საკავშირო პირველობის პრიზიორები: გ. კანდელაკი და დ. ჯანაშვილი. ეს უკანასკნელი, მეგობარ დ. ავაზნელთან ერთად, ევროპის ექსჩემპიონ დავით კვაჭაძის ჭაბუკთა საკავშირო პრიზის გათამაშების ლაურეატიცაა. ყველა ამ წარმატებას გორელები განსაკუთრებით 60 წელს გადაცილებულ კარელიძეს უმადლიან, ვინაიდან იგი, შეიძლება ითქვას, ამ ვაჟკაცური სახეობის დამნერგავია ლიახვისპირა ქალაქში და წლების მანძილზე ემსახურა ჭაბუკთა დაოსტატებას...

ომერიძემა მოწყალების თვალით გადმოხედა გორელებს და ყოფილი საკონსერვო ქარხნის ერთ-ერთი დიდი საამქროს ბეტონის კარკასები, რომლებიც წლების მანძილზე სკოლის ტერიტორიაზე „თვლემდა“, ინჟინერ ქიშვარდ აბრამიძის პროექტით სპეციალიზებულ დარბაზად გადაკეთდა.

ახლა აქ 188 ყმაწვილი ვარჯიშობს. სკოლა უზრუნველყოფილია ინვენტარით.

— ჩვენი მოსწავლეები, — თქვა სკოლის დირექტორმა, სპორტის ოსტატმა ავთანდილ შოშიაშვილმა — დათო ჯანაშვილი და გიორგი კანდელაკი, მიწვეულნი არიან ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში. ისინი ახლა ემზადებიან დაბა ეშერის სპორტულ ბაზაზე თბილისის ჭაბუკთა ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობისათვის, რომელიც დეკემბრის მეორე ნახევარში გაიმართება. დათო ავაზნელი კი ამ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ნაკრების სახელით გამოვა.

**მთავარწყვეტა საზრაპე. გასახდელი...** განზრახული გვაქვს გორში კრივის მასობრივი განვითარების მიზნით სკოლებში შევარჩიოთ მეცადინეობის მსურველი ჭაბუკები.

გორელმა მოკრივეებმა ახალ შენობაში უკვე ჩაატარეს პირველი ამხანაგური შეჯიბრება მცხეთელ თანატოლებთან.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირის ექო

**როგორც** ცნობილია, კვირას სპორტის სასახლეში დამთავრდა თბილისის II საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის სლავა მეტრეველის პრიზზე.

ამ საინტერესო ასპარეზობაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ბასკთა ქვეყნის გიპუსკოას პროვინციის მთავარი ქალაქის — სან-სებასტიანის ნაკრებიც.

მკითხველებს ვთავაზობთ ინტერვიუს ბასკ სტუმრებთან.

## თქვენ რას იტყვით, კოლეგა?

# გაუმარჯოს პელოტას და ლელოს!



ხესუს კალბო

**ბასკებს** თბილისის ტურნირზე ორი მეკარე ჰყავდათ — ორივე ჟურნალისტი — ჩემა ბალიესი (№ 10) და პაჩი ალბერდი (№ 1). ორივე ენაწყლიანი, გულღია და მხიარული. ჩემა სან-სებასტიანის გაზეთ „ელ დიარიო ბასკო"-ში („ყოველდღიური ბასკეთი") მუშაობს, პაჩი — „რადიო პოპულარ დე სან-სებასტიან"-ის კორესპონდენტია, სხვათა შორის, ბასკთა გუნდის კაპიტანი.

ცხადია, ერთდროულად საუბარი ძნელი იყო, ამიტომ ძირითად ინტერვიუერად... ულვაშებიანი ბასკი — ჩემა ბალიესი ავირჩიე — აი ის, ზოგიერთ თბილისელს ქუჩაში ქართველი რომ ეგონა.

● **ერთნაირად გვაინტერესებს თქვენი ჟურნალისტობაც და ფეხბურთელობაც...**



ჩემა ბალიესი

— ჟურნალისტად სულ შვიდი წელია ვმუშაობ, მას შემდეგ, რაც აქტიურ ფეხბურთს დავანებე თავი. ბილბაოს უნივერსიტეტში ვსწავლობდი ინფორმაციის განხრით. ფეხბურთს კი მეორე დივიზიონის გუნდში — „კარტახენაში" ვთამაშობდი. არ აგერიოთ, თქვენს კარდანახში — აი იმაში, კარგი ღვინო რომ სცოდნია (იცინის). სიამოვნებით ვეწვეოდით კახეთს. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ — დრო არ გვქონდა. თბილისის უნივერსიტეტში მომუშავე ბასკოლოგების ნახვაც ვერ შევძელით. ისე კი თბილისი, ასე თუ ისე, მაინც დავათვალიერეთ. დიდებულ რუსთაველის პროსპექტზეც გავიარეთ, ვნახეთ სურათების გამოფენა-ბაზრობა, ვიყავით მუსიკალურ სალონში და, წარმოიდგინეთ, თქვენს სახელგანთქმულ ჰრელ აბანოსაც ვეწვიეთ მთელი გუნდით. მასპინძლებმა გვაჩუქეს სვანური ქუდები, ქართული სიმღერების გრამფირფიტები, სხვადასხვა სუვენირები. ძალიან კმაყოფილნი ვართ, რომ საქართველოს დედაქალაქში ჩამოვედით. ალბათ, მართლაც ბევრს დავკარგავდით, ტურნირში რომ არ მიგვეღო მონაწილეობა. თუ გაისად ასეთ შეჯიბრებას კვლავ ჩაატარებთ, ბასკები აუცილებლად ჩამოვალთ. ეგებ მაშინ მაინც მოვახერხოთ თქვენი მცხეთის, ვარძიისა და ბორჯომის ნახვა. ცხადია, მერმისსაც თუ ასეთი გულისხმიერი შეფი დაგვხვდა, როგორიც ფირმა „საფარას" დირექტორი გიორგი ჯაყელია. არ შემიძლია ჩვენს „შტატიან თარჯიმანთან" ვანო ცაგარეიშვილთან ერთად არ აღვნიშნო თქვენი გუნდის მწვრთნელი გივი ნოდიაც. იგი არა მარტო დიდებული ფეხბურთელი გახლდათ, არამედ, როგორც თავადაც დარწმუნდით, თურმე ესპანურის კარგი მცოდნეც.

● **უნდა ვიფიქროთ, სან-სებასტიანში ჩასულს ბევრი რამ გექნებათ დასაწერი?**

— მდიდარი შთაბეჭდილებებით მივდივართ თბილისიდან, მართლაც ბევრი რამ მაქვს გამოსაქვეყნებელი, და არამარტო ტურნირის შესახებ. თბილისში საკმაოდ ბევრი ფოტოსურათი გადავიღე. ყოველივეს ჩვენს გაზეთში დავბეჭდავ და გამოგიგზავნით კიდეც.

● **და მაინც, რა შთაბეჭდილება დატოვა ტურნირმა?**

— კარგი საფეხბურთო სანახაობა იყო, თქვენთან მართლაც სცოდნიათ დიდი ფეხბურთელების დაფასება, მატჩების მეტი წილი საინტერესო და დაძაბული გახლდათ. თქვენი სპორტის სასახლეც დიდებული, ორიგინალური ნაგებობაა, საფარიც ჩინებულია.

● **კმაყოფილი თუ ხართ თქვენი გუნდის გამოსვლით?**

— როგორ გითხრათ: ჰოც და არაც! საქმე ისაა, რომ ბოლო დღემდე თამაში არ გვქონდა წაგებული და წინასწარ მატჩებში ორი-სამი ბურთით მეტი რომ გაგვეტანა, იქნებ ფინალში თქვენს გუნდთან ჩვენ გვესპარეზა. ყველაფერი ბურთების სხვაობამ გადაწყვიტა. არადა, მომავალ ფინალისტებთან — კიეველებთან ფრედ დავამთავრეთ შეხვედრა. მაგრამ, არაუშავს — ბასკ და ქართველ ფეხბურთელთა შეხვედრები, 1937 წელს რომ დაიწყო, კიდევ წინ არის. ვფიქრობ, რომ ჩვენს მომდევნო შეხვედრებს ნახევარი საუკუნის ცდა აღარ დასჭირდება. მოდით, მართლაც გავმართოთ ხშირად ტურნირები ორი ქვეყნის გუნდებს შორის — თბილისშიც, ბილბაოშიც, ჩვენს სან-სებასტიანშიც! მე და ჩემი კოლეგა პაჩი ალბერდი სათანადო პროპაგანდას გავუწევთ ამ ტურნირს.

● **გულახდილად გვითხარით: ვის ქომაგობდით ქართველ ფეხბურთელთა მატჩებში მოსკოვისა და კიევის გუნდებთან?**

— განა არ გვეტყობოდა? გულთბილ მასპინძლობას რომ დავანებოთ თავი, ბოლოს და ბოლოს ჩვენ და თქვენ ხომ... ნათესავები ვართ. გაიგონებდით კიდეც, როგორ ვყვიროდით თამაშის დროს ტრიბუნიდან: „ხეორხიანო, ტრაბახო!" („ქართველებო, იმუშავეთ!").

● **მაინც ვინ მოგეწონათ ჩვენს გუნდში ყველაზე მეტად?**

— მეკარე, კაპიტანი და... ჩელებაძე. იგი საკმაოდ „მოსუქებულია", მაგრამ პირდაპირ „აწამებს" მცველებს. ეტყობა, რომ ჭკვიანი მოთამაშეა, კარგად ესმის ფეხბურთი. ისე კი, თქვენი ფეხბურელები ძალიან გვანან ბასკებს თამაშითაც — ისეთივე აზარტული და ჟინიანები არიან. საქართველო და ქართველები ისე მომეწონა, რომ ამის შემდეგ სან-სებასტიანში ჩასული სიამოვნებით ვატარებ სვანურ ქუდს ტრადიციული ბასკური ბერეტის — „ცაპელას" ნაცვლად.

● **ბასკთა იმ დიდ გუნდში მარცხენა ნახევარმცველად რობერტო ეჩებარია თამაშობდა. ზოგიერთს**



პაჩი ალბერდი

**მაშინ იგი ქართველი ეგონა და რამდენიმე კურიოზიც კი მოხდა ამასთან დაკავშირებით. აი ერთი მათგანი: ჩვენმა სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ბორის პაიჭაძემ ხუმრობით, ამასთან „მთელი სერიოზულობით", უთხრა ფოტორეპორტიორ კონსტანტინე შანიძეს, ეს ეჩებარია წარმოშობით სენაკიდან არის და აბა შენ იცი, ბლომად სურათი გადაუღეო. ხომ არ იცით დღეს რაიმე მის შესახებ?**

— ეჩებარია ბილბაოდან იყო, ადგილობრივ „ატლეტიკში" თამაშობდა. მერე ბასკეთის ნაკრების იმ სახელგანთქმულ გუნდთან ერთად ისიც მექსიკაში ჩავიდა და იქ დარჩა საცხოვრებლად. იცით, ალბათ, ისიდრო ლანგარამ, ლუის რეგეირომ და მათმა თანაგუნდელებმა იქ თავიანთი გუნდი „ეუსკადი" (ბასკურად „ბასკეთს" ნიშნავს) რომ შექმნეს. ეჩებარიაც იქ თამაშობდა. სამწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცით მის შესახებ. ისე კი, სან-სებასტიანელთა ყველაზე ცნობილი პოეტი მისი მოგვარე — ბერნარდ ეჩებარი გახლავთ. იგი XVII საუკუნეში ცხოვრობდა. სხვათა შორის, ცნობილი ტენორი პლაჩიდო დომინგოც სან-სებასტიანიდანაა, ისევე, როგორც ბრწყინვალე მეკარეები მიგელ არკონადა და ხოსე ანხელ ირიბარი, აგრეთვე ხოსე ანტონიო გოიკოეჩეა, ლოპეს უფარტე, პერიკო ხოსე ალონსო, ხესუს მარია ზამორა და სხვანი.

● **შესანიშნავი ფეხბურთელები გყავდათ 1937 წელსაც და შემდგომშიც. რამდენჯერ იყო თქვენი საუკეთესო გუნდი — „რეალ-სოსიედადი" ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი?**

— ჩემპიონი სულ ორჯერ, 1981-82 და 1982-83 წლების სეზონში გახლდათ, თასი კი ერთხელ, 1987-88 წლებში მოიპოვა, როდესაც ფინალში მადრიდის „ატლეტიკოს" მოუგო. ჩვენს კარში მაშინ „მფრინავ ბასკად" წოდებული არკონადა იდგა. მომდევნო სეზონში კვლავ გავედით თასის ფინალში „ბარსელონასთან", რომელშიც იმ მატჩში შვიდი ბასკი თამაშობდა, მაგრამ დავმარცხდით. შვიდჯერ ვმონაწილეობდით ევროპის საკლუბო ტურნირებში, ერთხელ ნახევარფინალსაც მივაღწიეთ.

● **ვიცით, რომ ბასკებს აქვთ საინტერესო ეროვნული თამაში ბურთით — „პელოტა". ჩვენ იგი დიდებულ კინოფილმ „შანტეკლერის დედოფალში" ვიხილეთ...**

— პელოტა ბასკეთში სპორტის მეტად გავრცელებული სახეობაა, კონკურენციას მას მხოლოდ ფეხბურთი თუ უწევს. სხვათა შორის, ჩვენთან არაა ესპანელთა ტრადიციული „კორიდა". პელოტა ბასკეთში მაინც № 1 სპორტის სახეობაა. ამ სახეობაში ჩვენთან მსოფლიო ჩემპიონატები ეწყობა, ჩემპიონები, როგორც წესი, ბასკები ხდებიან. ცხადია, გვყავს ძლიერი პროფესიონალებიც. ალბათ, თავის დროზე ქართველებსაც ვასწავლით პელოტას, სამაგიეროდ იქნებ თქვენ ეროვნული ლელო შეგვასწავლოთ? ბასკურ ეპოსში არსებობს სახალხო გმირი, რომელსაც ლელო ჰქვია. მით უფრო გვაინტერესებს ეს თქვენი თამაში. მაშ მოდი, გაუმარჯოს პელოტასა და ლელოს!

**P.S.** ბასკ ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს საუბარში ხშირად მათი მწვრთნელი — სელექციონერო, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წევრი ხესუს კალბოც ერთვებოდა, რომლის თარჯიმნობა, ჩვენი თხოვნით, ამჯერად გივი ნოდიამ იტვირთა. ბასკმა სტუმარმა ბევრი რამ საინტერესო დამატება და შესწორება შეიტანა ჩვენს დიალოგში. სხვათა შორის, მისი მეშვეობით ისიც შევიტყვეთ, რომ ბასკეთში დღეს თურმე მილიონ 200 ათასი მაცხოვრებელია, აქედან ბილბაოში ცხოვრობს 600 ათასამდე, ხოლო სან-სებასტიანში — 200 ათასი, ესე იგი, როგორც ვიხუმრეთ, ბრაზილიის მთავარი სტადიონის „მარაკანას" მაყურებელთა რაოდენობა.

...გულთბილად დავშორდით ერთმანეთს. „ლაგუნა!" („მეგობარო") — ასე მოგვმართავდნენ ბასკი სტუმრები. მერე მეზობელ მაგიდაზე მჯდომი გერმანელი ფეხბურთელები მიესალმნენ მათ — „ვივა, ესპანია!"... „ნო, ნო, ესპანია... ვივა, ბასკო!" — ერთხმად მიუგეს ბასკებმა, ჩვენთვის ესოდენ შორი და ახლობელი, ძველი იბერიის ნახევარკუნძულიდან.

**ოთარ ნოზაძე**

# ძიუდოისტთა „გარდამავალი..."

ახე ეწოდება ახალგაზრდულ, უფრო ზუსტად კი 1969-73 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა საკავშირო საუწყებათაშორისო ჩემპიონატს, რომელსაც ამ დღეებში ყარაგანდის ტატამი მასპინძლობდა. ასპარეზობიდან კვლავ „ოქრო-ვერცხლით" ხელდამშვენებულნი დაგვიბრუნდნენ ჩვენი სპორტსმენები, რომელთა ანგარიშზეა ორი პირველი, ოთხი მეორე და ორი მესამე საპრიზო ადგილები.

95 კგ წონაში ბადალი არ ჰყავდა დინამოელ ვეფხია კაპანაძეს, რომელსაც კარგად აუბა მხარი 78 კგ წონის შევარდენელმა მოჭიდავემ სოსო ლიპარტელიანმა. მისი თანაკლუბელი ანატოლი აგაზნელი (60 კგ) და არმიელები — ვაჟა არუთინოვი (65 კგ) და ბესიკ გიორგაშვილი (72 კგ) მეორენი იყვნენ; ასეთსავე შედეგს მიაღწია ვეფხია კაპანაძემაც აბსოლუტურ პირველობაშიც.

მესამე საპრიზო ადგილები კი დაიკავეს შევარდენელმა ძიუდოისტებმა: კახაბერ გუჩეჯიანმა (აბსოლუტური პირველობა) და მამუკა მაზმიშვილმა (78 კგ).

ქართველმა ფალავნებმა არაოფიციალური გუნდური პირველობა მოიპოვეს.

სპორტული ნარდი

# პირველი რეგიონალური

**სპორტული** ნარდის ეროვნულმა ფედერაციამ რეგიონალური შეჯიბრებების ათვლა დაიწყო. 64 სპორტსმენი მიუჯდა საპაექროდ მაგიდას, ძირითადად ისინი, ვინც სულ მალე საქართველოს ღია პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას.

„ვერის თასი" — ასე დაარქვეს ორგანიზატორებმა პირველი რეგიონალური ასპარეზობის პრიზს, რომელიც თბილისში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში გათამაშდა. შეჯიბრება ჩატარდა საერთაშორისო წესებით, რადგან ეს ტურნირი თავისებური რეპეტიციაც იყო თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირის წინ.

გაიცანით „ვერის თასის" პირველი მფლობელი — ესაა ნიკოლოზ გუგულაშვილი, მეორე იყო გრიგოლ ჯლარკავა, რომელსაც გუგულაშვილმა ფინალში სძლია 11:2. მესამე-მეოთხე ადგილები კი მერაბ კიკალეიშვილმა და ნუგზარ სიკინჭილაშვილმა გაიყვეს. ნახევარფინალში გუგულაშვილმა კიკალეიშვილს აჯობა — 9:1. სიკინჭილაშვილი დამარცხდა ჯლარკავასთან შეხვედრაში — 4:9.

**საქართველოს ღია პირველობაში მონაწილენი რეგისტრაციას გაივლიან 7 დეკემბერს, 12-დან 18 საათამდე ჩემპიონატის პრესცენტრში (სასტუმრო „ივერია", ტელეფონი: 93-05-82).**



# პელე პრეზიდენტობას შეიზნებს

**უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ პელემ გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელშიც იგი მკითხველებს აცნობს თავის გადაწყვეტილებას — 1995 წლის არჩევნებში ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენოს თავისი კანდიდატურა.**

**სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიოში ორ ყველაზე სახელოვან ფეხბურთელს პელეს და დიეგო მარადონას. სურათი გადაღებულია მათთვის ფეხბურთში განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღწევებისათვის სპორტული „ოსკარის" გადაცემის შემდეგ.**



**როგორც** იუპი-ს კორესპონდენტი მიუნხენიდან იუწყება, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი „ბაიერნი" 9 დეკემბერს აპირებს ამხანაგური მატჩი გამართოს სსრ კავშირის ნაკრებთან.

გერმანიის გუნდს სურს დაეხმაროს სსრ კავშირს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში. ყველამ იცის, რომ სსრ კავშირის მოსახლეობა დიდ სიძნელეებს განიცდის, მაღაზიებში თაროები ცარიელია, მიუნხენის „ბაიერნი" კი იმედოვნებს, რომ მატჩის შემოსავალი 1,5 მილიონ მარკას მიაღწევს (1 მილიონი დოლარი), რაც ამ საქველმოქმედო საქმეს მოხმარდება. ამხანაგური მატჩი გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰელმუტ კოლის პატრონაჟით.

**კიეველმა** ფეხბურთელმა, 27 წლის გენადი ლიტოვჩენკომ ათენში 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „ოლიმპიაკოსთან" და საბერძნეთის ამ ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის მესამე უცხოელ მოთამაშედ იქცა. „ოლიმპიაკოსში" უკვე გამოდიან იური სავიჩევი და ოლეგ პროტასოვი. ლიტოვჩენკო „ოლიმპიაკოსში" მიიწვია გუნდის მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა. ამის თაობაზე განცხადებით გამოვიდა კლუბის პრეზიდენტი არგირის სალიარელისი.

„ოლიმპიაკოსი" ამჟამად მეორე ადგილზე იმყოფება საბერძნეთის ჩემპიონატში და ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერს „პანათინაიკოსს". IX ტურში „ოლიმპიაკოსმა" საკუთარ მინდორზე ანგარიშით 3:2 დაამარცხა პაოკ-ი.

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა

# როგორც შარშან...

## ქეთევან არახამიას უნიკალური რეკორდი

**ნოვი სადი.** მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადის ბოლო წინა ტურში, როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ქალთა გუნდების შეხვედრა ყაიმით დამთავრდა 1,5:1,5 (ჩიბურდანიძე — რიხტეროვა ყაიმი, გალიამოვა დამარცხდა მაშკოვასთან, არახამიამ კი კისოვას აჯობა). ეს იყო ქალთა ნაკრებისთვის სასიამოვნო შედეგი, ვინაიდან უნგრელებმა მშრალი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს არგენტინის გუნდი და დაეწიენ ლიდერებს.

ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო ბოლო შეხვედრებზე, რომლებშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირი-იუგოსლავია III და უნგრეთი-ჩეხოსლოვაკია. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მაქსიმალური შედეგით (3:0) გაიმარჯვეს (გაფრინდაშვილმა მოუგო მარიჩს, გალიამოვამ — მიხეგიჩს, არახამიამ — ტოდოროვიჩს) და საბოლოო ჯამში 35 ქულა დააგროვეს, მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ უნგრელებმაც ანალოგიურ შედეგს მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიელებთან (3:0) და მათაც 35 ქულა გაუხდათ. ასეთ შემთხვევაში ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო გახდა ბუხჰოლცის კოეფიციენტების სისტემის გამოყენება, რომელმაც უპირატესობა უნგრელებს არგუნა.

განმეორდა შარშანდელი ოლიმპიადის შედეგი: საბჭოთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა და წინ უნგრელები გაუშვა, მაგრამ მაშინ სალონიკში უნგრეთის ნაკრებმა მეტი ქულა დააგროვა, წლეულს კი გამარჯვება მას კოეფიციენტების ცხრილმა მოუტანა. ასეა თუ ისე, ოლიმპიადის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ ხდებიან უნგრელები, რაც პირველ ყოვლისა, დები პოლგარების უდიდესი დამსახურებაა (გუნდში მეოთხე მოჭადრაკე, ი. მადლი იყო).

ბრინჯაოს მედლები ქალთა ტურნირში ჩინელებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც ბოლო, მეთოთხმეტე ტურში გფრ-ის გუნდი დაამარცხეს 2:1 და საბოლოოდ 29 ქულა დააგროვეს.

რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მოჭადრაკეთა გამოსვლებიდან. საბჭოთა ნაკრებმა აღნიშნულ ტურნირში 13 შეხვედრა მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა, უნგრელებსაც 13 გამარჯვება აქვთ, ოღონდ ერთი ბრძოლა უშუალო მეტოქესთან — საბჭოთა გუნდთან დათმეს ანგარიშით 1:2. ორივე გუნდმა მშრალი ანგარიშით (3:0) 6-6 შეხვედრა მოიგო. როგორც ხედავთ, მეტოქეებს, ფაქტობრივად, ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ, ურთიერთშეხვედრის შედეგი კი საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდაა, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილმა უპირატესობა უნგრელებს მიანიჭა და ეს აღმოჩნდა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი. კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი — **ქართველმა მოჭადრაკემ ქეთევან არახამიამ ოლიმპიადაზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა — თერთმეტ შეხვედრაში თერთმეტი ქულა დააგროვა**, რაც უდაოდ სარეკორდო მაჩვენებელია.

ვაჟთა ოლიმპიადის საბოლოო შედეგები ასეთია: 1. სსრ კავშირი — 39 ქულა, 2. აშშ — 35,5, 3. ინგლისი — 35,5, (მეორე-მესამე ადგილებიც კოეფიციენტთა ცხრილის მეშვეობით განაწილდა).

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

# ექვსი ფინალისტი ცნობილია



გუშინ მოსკოვსა და თელ-ავივში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩები მეოთხე ქვეჯგუფში ერთის მხრივ სსრ კავშირისა და საფრანგეთის, მეორე მხრივ ისრაელისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. ორი დღით ადრე კი ჩეხოსლოვაკები შინ დამარცხდნენ საფრანგეთის კალათბურთელებთან — 106:115 (44:63). საფრანგეთის გუნდმა სატურნირო ცხრილში დღესდღეობით პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| **საფრანგეთი** | 5 | 3 | 2 | 8 |
| **სსრ კავშირი** | 5 | 3 | 2 | 8 |
| **ჩეხოსლოვაკია** | 5 | 2 | 3 | 7 |
| **ისრაელი** | 5 | 2 | 3 | 7 |

ფრანგებმა უკვე გაინაღდეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება, ვინაიდან მარცხის შემთხვევაშიც კი მათ დაუგროვდებათ 9 ქულა, გატანილი და მიღებული ბურთების ბალანსი კი უკეთესი აქვთ. ამავე პრინციპის მიხედვით საბჭოთა ნაკრებმა [illegible] უნდა მოიგოს ბოლო შეხვედრა, თუკი ეს დამარცხდა, მას ჩეხები აჯობებენ.

ბოლო ტურის მატჩები სხვა ქვეჯგუფებში ასე დამთავრდა: **I ქვეჯგუფი.** შვეცია — ბულგარეთი 67:83 (37:42), რუმინეთი — საბერძნეთი 80:83 (41:36, 75:75). საბერძნეთსა და ბულგარეთს 9-9 ქულა აქვთ, შვეციას — 7, რუმინეთს — 5.

**II ქვეჯგუფი.** ბელგია — ჰოლანდია 85:81 (43:39), პოლონეთი — იტალია 91:81 (34:39). იტალია —9 ქულა, ჰოლანდია, პოლონეთი და ბელგია 7-7.

**III ქვეჯგუფი:** ინგლისი — იუგოსლავია 68:86 (35:42), გერმანია — ესპანეთი 78:79 (31:35). იუგოსლავია — 10 ქულა, ესპანეთი —9, გერმანია — 6, ინგლისი — 5.

ამრიგად, უკვე ცნობილია ფინალური ტურნირის ექვსი მონაწილის ვინაობა. ესენია: საფრანგეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, იტალია, იუგოსლავია და ესპანეთი.

# ლარი ბიორდი—მეთხუთმეტე სნაიპერი

**ნბა-ს** ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატის მონაწილეებს 15-17 მატჩი აქვთ ჩატარებული (რამდენიმე კლუბს — ნაკლებიც). დივიზიონების (ქვეჯგუფების) მიხედვით ლიდერთა სამეულები ასე გამოიყურება:

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ატლანტის დივიზიონი**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| „ბოსტონი" | 15 | 12 | 3 | 800 |
| „ფილადელფია" | 17 | 11 | 6 | 647 |
| „ნიუ-იორკი ნიკსი" | 15 | 7 | 8 | 467 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დეტროიტი" | 16 | 13 | 3 | 813 |
| „მილუოკი" | 16 | 11 | 5 | 688 |
| „ჩიკაგო" | 16 | 10 | 6 | 625 |

**დასავლეთის კონფერენცია**

**შუა დასავლეთის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო" | 13 | 9 | 4 | 692 |
| „ჰიუსტონი" | 16 | 9 | 7 | 563 |
| „იუტა-ჯაზი" | 15 | 8 | 7 | 533 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „პორტლენდი" | 15 | 14 | 1 | 933 |
| „გოლდენ სტეიტი" | 17 | 11 | 6 | 647 |
| „ლეიკერსი" | 13 | 8 | 5 | 615 |

„ბოსტონ სელტიქსის" ცნობილი „ვარსკვლავი" ლარი ბიორდი ნბა-ს მეთხუთმეტე კალათბურთელია, რომელმაც გადააბიჯა „20-ათასიანთა" ზღვარს და 12 სეზონის განმავლობაში თავის კლუბს 20 ათას 9 ქულა შესძინა. ეს მან მოახერხა „ვაშინგტონ ბულიტსთან" ბოლო მატჩში, რომელიც ბოსტონელებმა მოიგეს ანგარიშით 123:95 (ამ დღეს ბიორდის ანგარიშზე იყო 21 ქულა). საინტერესოა ერთი დეტალიც. სნაიპერთა სიაში მეთოთხმეტე ადგილზე მყოფი ჯორჯ ჯერვინის შედეგია 20.708 ქულა.

ვაშინგტონელებთან მატჩის შემდეგ ბიორდი „საგოლე პასების" რჩეულ „ვარსკვლავთა" ხუთეულში მოხვდა. აქ, ჩვეულებისამებრ, შეჰყავთ ბომბარდირები, რომელთა მაჩვენებელი აღემატება 20 ათასს და რომლებსაც, ამავე დროს, შესრულებული აქვთ 5 ათასზე მეტი „საგოლე პასი". ამ სიაში პირველ ადგილზეა ლეგენდარული ქარიმ აბდულ ჯაბარი, რომელიც უკვე გამოეთხოვა სპორტს.

ინფორმაცია

**ამერიკელი** პროგრამისტი კენ კლოუზი ატარებს ათწლეულების საუკეთესო პროფესიულ კალათბურთელთა კომპიუტერულ ტურნირს. 80-იანი წლების ნაკრებმა სუპერფინალური სერია მოუგო 50-იანი წლების გუნდს ანგარიშით 4:1. ახლა დადგა 60-იანი და 70-იანი წლების კალათბურთელთა შეხვედრის ჯერი. 60-იანელების გუნდში მოხვდნენ: უილტონ ჩემბერლენი, ელჯინ ბეილორი, ოსკარ რობერტსონი, ჯერი ლუკასი, ბილ რასელი, ჯონ ჰავლიჩეკი, ბილ კანინგჰემი, მას ჯონსონი და სხვები. 70-იანი წლების ნაკრების ღირსებას იცავენ: ქარიმ აბდულ-ჯაბარი, ელვინ ჰეიესი, ჯულიუს ირვინგი (დოქტორ ჯეი), უოლტ ფრეიზერი, ჯორჯ ჯერვინი, ბობ მაკადუ, რიკ ბარი, პიტ მარავიჩი, უეიტ არჩიბალდი, დეივ კოუენსი და სხვ. აღნიშნულ კალათბურთელთა პირველ კომპიუტერულ მატჩში გამარჯვება 70-იანელებმა მოიპოვეს — 117:116. შეხვედრის დამთავრებამდე 12 წამით ადრე გამარჯვება თავის გუნდს მოუტანა დიქტორ ჯეიმ. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: 70-იანელებში — ირვინგი (22 ქულა), 60-იანელებში — ჩემბერლენი (31 ქულა).

ფეხბურთის პროფესიონალი მსაჯები

იტალიური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა კომიტეტმა გადაწყვიტა 1993 წლიდან დააწესოს პროფესიული მსაჯობა პირველი და მეორე ლიგების გუნდებისთვის.

სიახლე გულისხმობს იმას, რომ მსაჯებმა კონტრაქტი უნდა დადონ არბიტრთა გაერთიანებასთან და რეგულარული კონტროლი გაუწიონ თავიანთ პროფესიულ დონეს. ანაზღაურება საკმაოდ სოლიდურია, ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ბევრი თავს დაანებებს ძირითად საქმიანობას და მსაჯის პროფესიას აირჩევს.

მართალია, ამ პროექტს მხოლოდ 1993 წლიდან უწერია განხორციელება, მაგრამ უკვე მისი მოწინააღმდეგეებიც გამოჩნდნენ. კერძოდ, ბევრ არბიტრს მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში მსაჯთა კორპუსში დაირღვევა ერთიანობის პრინციპი, გაჩნდება ელიტა და ე. წ. დაბალი ფენა, გარდა ამისა, მსაჯებმა შესაძლოა დაკარგონ დამოუკიდებლობა.

მაგრამ მარტო იტალია როდია ის ქვეყანა, სადაც ფეხბურთის მსაჯთა პროფესიონალიზმის შემოღებას ცდილობენ. როგორც გერმანული ჟურნალი „კიკერი" იუწყება, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ი. ბლატერმაც მოითხოვა პროფესიონალიზმზე გადასვლა. მისი აზრით, მხოლოდ პროფესიონალმა მსაჯებმა უნდა ჩაატარონ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გათვალისწინებული მატჩები.

ი. ბლატერის აზრით, მსაჯები უფრო უკეთ უნდა იყვნენ ფიზიკურად მომზადებული, საუკეთესო მსაჯთა ასაკი უნდა განისაზღვროს არა 45, არამედ მაქსიმუმ 40 წლით.

# კიდევ ერთი წელი საჭესთან

**მოკლე სავიზიტო ბარათი: ნაიჯელ ერნესტ ჯეიმს მენსელი, ავტომრბოლი, დაიბადა 1954 წლის 8 აგვისტოს ინგლისის პატარა ქალაქ აპტონში. ჰყავს მეუღლე როუზენი, ორი ვაჟი — ლეო, გრეგი და ქალიშვილი — კლო. ამჟამად მენსელების ოჯახი ცხოვრობს დიდი ბრიტანეთის სამხრეთით მდებარე კუნძულ მენზე.**

**ავტორბოლებში** მონაწილეობის მიღების მიზნით მენსელმა მიატოვა საავიაციო ინჟინრის პროფესია. სულ მალე პირველ წარმატებას მიაღწია: გახდა ინგლისის ჩემპიონი „ფორმულა ფორდის" კლასში, ასპარეზობდა „ფორმულა 3" და „ფორმულა 2" კლასებში. 1980 წელს ნაიჯელ მენსელი მიიწვია „ლოტუსის" მენეჯერმა კოლინ ჩეპმენმა. ორმა წელმა უშედეგოდ ჩაიარა. 1982 წელს მენსელმა მე-14 ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატში (8 ქულა), 1983 წელს — მე-12 (10 ქულა), 1984 წელს — მეცხრე (13 ქულა). პირველად იგი გამარჯვებულთა სამეულში მოხვდა საფრანგეთსა და ჰოლანდიაში და ორი საწვრთნელი რბოლა მოიგო.

1985 წელს ნაიჯელ მენსელი მიიწვია ფრენკ უილიამსმა. იმ სეზონში ინგლისელმა პილოტმა ორი „გრან პრი" (გერმანია, სამხრეთ აფრიკა) მოიგო და 31 ქულით ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავიდა.

1986 წელს მენსელმა მოიგო ხუთი „გრან პრი", 2-ჯერ მეორე იყო, 2-ჯერ მესამე და 70 ქულით ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1987 წელს „უილიამს-ჰონდას" საჭესთან ინგლისელმა პილოტმა ექვსი ეტაპი მოიგო, ერთხელ მესამე იყო და 61 ქულით კვლავ ვიცე-ჩემპიონი გახდა. ამავე წელს „უილიამსის" ბრწყინვალე დუეტმა — ნაიჯელ მენსელმა და ნელსონ პიკემ, თავის გუნდს ზედიზედ მეორედ მოუპოვა პირველობა კონსტრუქტორთა შორის.

1988 წლიდან „ფორმულა 1" კლასის რბოლების ჩატარების წესებში სიახლე დამკვიდრდა: ნაწილობრივ აიკრძალა ტურბოკომპრესორები, რამაც ძალზე იმოქმედა „უილიამსისა" და თვით მენსელის შედეგებზე. ინგლისელმა პილოტმა 12 ქულით მეათე ადგილი დაიკავა. მისი საუკეთესო შედეგი იყო მეორე ადგილები ინგლისსა და ესპანეთში. მენსელი ფიქრობდა კიდევაც სპორტის მიტოვებას, მაგრამ იგი „ფერარიმ" მიიწვია.





იტალიურ გუნდში გატარებული ორი წლის (1989-1990) მანძილზე, როცა მისი თანაგუნდელები იყვნენ გერჰარდ ბერგერი და ალენ პროსტი, ნაიჯელ მენსელმა მოიგო სამი „გრან პრი" (ბრაზილია, უნგრეთი, პორტუგალია), 5-ჯერ მეორე იყო, 3-ჯერ მესამე. შარშან 38 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა, წელს 37 ქულით — მეხუთე.

სულ დღემდე, მენსელი 148-ჯერ გამოვიდა სტარტზე, მოიგო 16 საკვალიფიკაციო რბოლა და 16 „გრან პრი", 8-ჯერ მეორე იყო, 11-ჯერ— მესამე, დააგროვა 287 ქულა და დაამყარა სხვადასხვა ტრასის 15 რეკორდი.

წელს ნაიჯელ მენსელი რამდენჯერმე გამოეთიშა ასპარეზობას. ჩემპიონატში მაღალი ადგილის დაკავებას აღარც ცდილობდა, ერთადერთი მიზანი იყო ორი გამარჯვება, რათა გამხდარიყო დიდი ბრიტანეთის საუკეთესო ავტომრბოლი.

„სილვერსტოუნზე" მარცხის შემდეგ ნაიჯელ მენსელმა განაცხადა, რომ ავსტრალიის „გრან პრი" საბოლოო იქნება მისთვის. ინგლისელი პილოტის სიტყვებმა ყველა განაცვიფრა. სახელგანთქმულ ავტომრბოლს სთხოვდნენ განეგრძო რბოლა, მენსელმა კი ჟურნალისტებს წარუდგინა თავისი ოჯახის წევრები და თქვა, რომ დადგა დრო ჩაერთოს ოჯახურ საქმეებში.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ნაიჯელ მენსელს სთავაზობდნენ გუნდის მენეჯერობას „ფორმულა 3000" კლასში, მასთან კონტრაქტის დადებას აპირებდა ჟან ტოდტი, „პეჟო 905 პროტოტიპის" სპორტული დირექტორი.

კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ნაიჯელ მენსელის კონტრაქტი „უილიამსთან" 1992 წლამდე.

ინგლისელი პილოტი სპორტის სხვა სახეობებითაცაა გატაცებული — უყვარს ფეხბურთი, ჩინებულად თამაშობს გოლფს; თავისუფალ დროს ხშირად გოლფის მოედანზე ატარებს, რითაც ალენ პროსტის უკმაყოფილებას იწვევს.

ასეა თუ ისე, ნაიჯელ მენსელმა კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა თავისი სპორტული კარიერა და გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან მისგან ახალ რეკორდებს.

**დავით ჩუბინიძე**

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს სპორტსახკომის ტრესტ „საქსპორტრემმშენის" № 4 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე ტრესტის მმართველს თენგიზ აბუსერიძეს მამის

**გიორგი იოსების ძე აბუსერიძის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა რ. ქორქია, კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზდივნო — 93-27-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 26 14 15 16 17 18 19 20